საქართველოს პარლამენტის აპარატი

დროშების (35821000) გამარტივებული ელექტრონული
ტენდერით სახელმწიფო შესყიდვა

(35800000 - ინდივიდუალური და დამხმარე მოწყობილობები)

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი
2012 წელი

1. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

1.1. სატენდერო წინადადება დანართი N1–ის მიხედვით.

1.2. ფასების ცხრილი დანართი N2–ის შესაბამისად.

*** პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი წარმოადგინოს სრულყოფილად შევსებული დანართი N1 და დანართი N2 ფორმით, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.**

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

2.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

2.3. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების, დედნის ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით შემსყიდველ ორგანიზაციაში წარდგენა ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ვადის შესაბამისად.

2.4. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ტენდერის გამოცხადების თარიღის შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – ტენდერის გამოცხადების თარიღამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

2.5. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

2.6. პრეტენდენტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ელექტრონული სახით) შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოუდგენლობა გამოიწვევს დისკვალიფიკაციას „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2.7. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ელექტრონული სახით წარმოდგენის შემთხვევაში წარმოდგენილი PDF ფორმატში ერთ ფაილად დასკანერებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იკითხებოდეს გარკვევით და გამოგზავნილი უნდა იყოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: zaurijio@parliament.ge.

2.8. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. ელექტრონული გარანტია პრეტენდენტს აღარ უბრუნდება.

3. ფასის გაანგარიშების წესი და ანგარიშსწორების პირობები:

3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში.

3.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4. შესყიდვის ობიექტი, მიწოდების წესი, ვადები და პირობები:

4.1. შესყიდვის ობიექტია დროშები (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფასების ცხრილი დანართი N2).

4.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.

4.3. მისაწოდებელი დროშები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა იყოს მაღალი ხარისხის მასალისგან დამზადებული.

4.4. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

5. დამატებითი ინფორმაცია.

5.1. პრეტენდენტს უფლება აქვს შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებით მიიღოს ინფორმაცია და განმარტებები შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე, საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატი; ტელ: 228-15-63 (ივანე სულხანიშვილი), 228-13-69 (ზაურ ჯიოშვილი).

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

(პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად)

ქ. თბილისი ———————— 2012 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს პარლამენტის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი უფროსის დავით ჯანიაშვილის სახით და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ———————— სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, _____ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – ხელშეკრულება) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. შემსყიდველი – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. მიმწოდებელი – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველს _____.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციასა და ფასების ცხრილში (დანართი N2), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ———————— ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება
7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)
9.1 მხარეები სრულად ანაზღაურებენ ბრალეული ქმედებით (მოქმედებითა და უმოქმედობით) მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანს.
9.2 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.3 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი

ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის _____მდე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი №1

სატენდერო წინადადება

1. პრეტენდენტის რეკვიზიტები:

- იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- იურიდიული მისამართი:
- ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- ტელეფონის/ფაქსის ნომერი:
- ელექტრონული ფოსტა:
- ბანკის დასახელება და კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

- ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს“ და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი წესების და ნორმების ფარგლებში.

ფასების ცხრილი დანართი №2

N	დასახელება	მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6	7
1	საქართველოს სახელმწიფო დროშა გარე მოხმარებისთვის	- ზომა 2.50 მ X 3.75 მ - მაღალი ხარისხის ორმაგი აბრეშუმის ქსოვილი, დროშის პერიმეტრზე ყველა მხარეს ფარული გვირისტით, ხოლო გარედან ორმაგი გვირისტით შემოკერილი, ორმხრივი საღებავით დაჩითული, დროშის მარცხენა მხრიდან ვერტიკალურად მიკერებული მყარი ზონარით და კაუჭებისათვის განკუთვნილი რგოლებიანი სამაგრებით, გასაყრელი ჯიბე 5 სმ. - დროშის დაბოლოებებში თანდართული აეროდინამიური სტაბილიზატორებით. - მდგრადი ამინდის ცვალებადობის, გახუნებისა და ჩამორეცხვის მიმართ.		15		
2	ევროკავშირის დროშა გარე მოხმარებისთვის	- ზომა 2.50 მ X 3.75 მ - მაღალი ხარისხის ორმაგი აბრეშუმის ქსოვილი, დროშის პერიმეტრზე ყველა მხარეს ფარული გვირისტით, ხოლო გარედან ორმაგი გვირისტით შემოკერილი, ორმხრივი საღებავით დაჩითული, დროშის მარცხენა მხრიდან ვერტიკალურად მიკერებული მყარი ზონარით და კაუჭებისათვის განკუთვნილი რგოლებიანი სამაგრებით, გასაყრელი ჯიბე 5 სმ. - დროშის დაბოლოებებში თანდართული აეროდინამიური სტაბილიზატორებით. - მდგრადი ამინდის ცვალებადობის, გახუნებისა და ჩამორეცხვის მიმართ.		6		
3	საქართველოს სახელმწიფო დროშა გარე მოხმარებისთვის	- ზომა 1.10 მ X 1.75 მ - მაღალი ხარისხის ორმაგი აბრეშუმის ქსოვილი, დროშის პერიმეტრზე ყველა მხარეს ფარული გვირისტით, ხოლო გარედან ორმაგი გვირისტით შემოკერილი, ორმხრივი საღებავით დაჩითული, დროშის მარცხენა მხრიდან ვერტიკალურად მიკერებული მყარი ზონარით და კაუჭებისათვის განკუთვნილი რგოლებიანი სამაგრებით, გასაყრელი ჯიბე 5 სმ. - დროშის დაბოლოებებში თანდართული აეროდინამიური სტაბილიზატორებით. - მდგრადი ამინდის ცვალებადობის, გახუნებისა და ჩამორეცხვის მიმართ.		23		
					სულ:	

- სვეტები 4, 6 და 7 ივსება პრეტენდენტის მიერ.